

PRESS RELEASE

FOR IMMEDIATE RELEASE

9 February, 2015

Contact Person: Mike Martley

Office: +995 32 298 81 76

Mobile: +995 5979 213 72

Email: m.martley@icc.ge

The International Chamber of Commerce holds its 8th Consultative Board Meeting

On 11 February 2015, The International Chamber of Commerce (ICC-Georgia) holds its 8th Consultative Board Meeting at the Holiday Inn; special guests will be The Honorable Giorgi Kadagidze Governor of the National Bank of Georgia, who will give an overview of the monetary stability and perspectives for 2015 and H.E. David Onoprishvili Chairman of the Economic and Fiscal Commission at the Parliament of Georgia who will cover the Fiscal and Budgetary prognosis for 2015.

ICC 8th Consultative Board meeting will also cover the new legal initiatives regarding Excise Tax Increase on Tobacco and Beverage products, and the challenges of the new Broadcasting Law in addition to discussing the results of the ISET/ICC Business Confidence Index for the 4th Quarter of 2014.

During the meeting the third edition of “ICCommerce” magazine will be released; a reception supported by JTI Georgia will follow and will be attended by more than one hundred fifty ICC members and guests from the political diplomatic spheres.

The ICC Consultative Board is the only body of its kind in Georgia, consisting of eight ambassadors, the Heads of three major international financial institutions, and the Heads of two major international organizations. The issues raised during the Board meeting are subsequently advocated to the government through a multi-pronged approach by the ICC stakeholders to effect positive changes in the in the business and investment climate.

The International Chamber of Commerce is the largest business organization in the world including over 6.5 million business members and over 12,000 chambers of commerce; ICC consults regularly at the global level with the G8, G20, the World Bank, WTO, WCO and the UN; in Georgia ICC is the largest and most vocal global Business Association, it includes over 350 corporate and youth members and 26 business and Non Governmental Organizations.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა მე-8 საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრას მართავს

2015 წლის 11 თებერვალს, სასტუმრო „ჰოლიდი ინ“-ში, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში მე-8 საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრას გამართავს. შეხვედრაზე მოწვეული მომხსენებლები არიან ბატონი გიორგი ქადაგიძე- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელიც ისაუბრებს დაგეგმილი მონეტარული პოლიტიკისა და 2015 წლის პერსპექტივების შესახებ და ბატონი დავით ონოფრიშვილი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. ბატონი ონოფრიშვილი ისაუბრებს 2015 წლის ფისკალური და საბიუჯეტო პროგნოზის შესახებ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე აგრეთვე განიხილება ახალი საკანონმდებლო ინიციატივები აქციზის ზრდის შესახებ თამბაქოსა და ლუდის პროდუქციაზე; აგრეთვე მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები და საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის, ბიზნესის ნდობის ინდექსის, 2014 წლის მე-4 კვარტლის შედეგები.

საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა წარადგენს ICommerces-ის მესამე გამოცემას. JTI Caucasus-ის მხარდაჭერით, საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრის შემდეგ გაიმართება ოფიციალური მიღება, რომელსაც დაესწრებიან 150-ზე მეტი წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ICC-ის ახალგაზრდული პროექტის წევრები.

საკონსულტაციო საბჭო ერთადერთი და გამორჩეული ორგანოა საქართველოში ბიზნეს ორგანიზაციებს შორის, რომლის შემადგენლობაშიც შედის რვა ელჩი, სამი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარეები. ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შემდეგ დიპლომატები რეგულარულად კომუნიკაციას ახდენენ მთავრობასთან, რათა მაქსიმალური შედეგი იქნეს მიღწეული ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი ბიზნეს ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც აერთიანებს 6.5 მილიონ ბიზნეს ორგანიზაციასა და 12,000 სავაჭრო პალატას. საერთაშორისო სავაჭრო პალატა რეგულარულად კონსულტაციებს გადის გლობალურ დონეზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: G8, G20, მსოფლიო ბანკი, WTO, WCO და UN. საქართველოში, საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი და ყველაზე გავლენიანი ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 350-ზე მეტ კორპორატიულ წევრს, ახალგაზრდული პროექტის სტუდენტებს, 26 ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციას.